




# ახალი ბუნათელეს

2010 წელი, 11 - 17 მარტი

ფასი 90 თეთრი

№8 (482) გამოდის 1998 წლიდან

## მთავარია, არ დაბეზაროს...



დავინყობთ ოჯახით – ხუთი შვილის მამობა ჩვეულებრივი მოვლენა არ არის სამი გოგო და ორი ბიჭი მყავს. უფროსი – გიო 26 წლისაა. ისიც მხატვარია, ამავდროს დროს რესტავრაცი-

ტორი, ჩემთან ერთად დადის ექსპედიციებში. უკვე პროფესიონალია, ამიტომ სარესტავრაციო პროცესებში ჩემი მონაწილეობა თანდათან უფრო ნაკლებად დასაჭირო. საერთოდ იმ ძირითადი ჯგუფის წევ-

### დღევანდელი ნობის სტუმარია დათო გაგოშიძე – რესტავრატორი, მხატვარი

რები, რომელიც მე მყავს, იმდენად დაოსტატებული არიან, რომ სამუშაოს მნიშვნელოვან ნაწილს მათ უფრო ვანდობ, ვიდრე საკუთარ თავს. თავისუფლად შეუძლიათ დამოუკიდებლად მუშაობა, მე უფრო ხარჯთაღრიცხვით და ყოფილი საქმეების მოგვარებით ვარ ხოლმე დაკავებული, რაც ყველაზე უსიამოვნოა. ვოცნებობ, როდის დადგება ისეთი დრო, როდესაც რესტავრატორებს ამაზე ფიქრი და ზრუნვა აღარ მოგვიწევს, სპეციალურად იქნება ადამიანი, ვინც ამ მხარეს მოგვიგვარებს. მაშინ მხოლოდ პროფესიული საქმიანობით იქნები დაკავებული. თან იმუშაო და თან ეს საკითხები აგვარო, საკმაოდ რთული და უსიამოვნოა.

ჩემს შვილებს რაც შეეხება, გიოსგან განსხვავებით, ჯერჯერობით ხატვას არ აპირებენ, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიხარია. უფროსი გოგონა წელს აბარებს, აბიტურიენტი. ყველაზე პატარა 10 წლისაა.

#### სპეციალობა

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სპეციალობით მხოლოდ 2-3 თვე ვიმუშავე. ძალიან მიყვარდა და მინდოდა ხატვა. დავინყვე ექსპედიციებში სიარული და რესტავრაციაზე მუშაობა, რადგან ეს სპეციალობა მხატვრობასთან ახლო იყო. ვავიარე სტაჟირება გრაბარის სარესტავრაციო-კვლევით ცენტრში. შემდეგ ჩავაბარე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, რესტავრაციის სპეციალობაზე. პარალელურად, სულ დავდიოდი ექსპედიციებში. აკადემია რომ დავამთავრე, უჩა ჯაფარიძის შემოქმედებით სახელოსნოში ამიყვანეს, ფერწერის სპეციალობაზე. იქ, დაახლოებით, წელიწადნახევარი ვიმუშავე და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რადგან ეს სახელოსნო საკავშირო სამხატვრო აკადემიის ფილიალი იყო, დაიხურა.

ამ წლების განმავლობაში ექსპედიციებში სიარული არ გამიწყვეტია და ბოლოს თვითონ გავეხდი ექსპედი-

ციის ხელმძღვანელი. ძალიან მიყვარს ხატვა და გული მწყდება, ექსპედიციებში სიარულის გამო ხატვას სათანადო დროს რომ ვერ ვუთმობ. გარკვეულწილად, რესტავრაციაზე მუშაობა იგივეა, რაც მუზეუმებში სიარული – მუდმივი შეხება გვაქვს ფრესკებთან, ახლოდან ვათვალიერებთ, შევისწავლით და ვამაგრებთ მათ, რაც ძალიან დიდ გამოცდილებას გვამატებს. მიუხედავად ამისა, როცა მეკითხებიან – რომელია ძირითადი სპეციალობა, ვპასუხობ – მხატვრობა, რესტავრაცია კი – ჰობი.

ერთი სული მაქვს ხოლმე, რომ დამთავრდეს ექსპედიცია, დაიწყოს ზამთრის პერიოდი, დავჯდე სახელოსნოში და ვხატო. მხატვრობა გაცილებით რთული პროცესია, ვიდრე რესტავრაცია, ისე ჩაგითრევს, რომ თავს ვერ ანებებ – მართო ხარ ტილოსთან ან ფურცელთან და მხოლოდ საკუთარ თავთან ურთიერთობ.

გვერდი 8-9

აბიტურიენტებო,  
თვალი აღევნეთ  
ჩვენს რუბრიკას და  
გააკეთეთ სწორი  
არჩევანი!

„აირჩიეთ, სად ისწავლით“

■ თბილისის საგანძობ-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტი

■ სსიპ - ქუთაისის საგანძობო კოლეჯი

■ ქუთაისის აკადემიის წარმართული სახელმწიფო უნივერსიტეტი

■ გრიგოლ როგავაძის სახელობის უნივერსიტეტი - მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის სკოლა

### ქვირფასო აბიტურიენტებო!



### აირჩიეთ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და მიიღეთ ხარისხიანი განათლება

უნივერსიტეტი სტუდენტთა სწავლა-აღზრდისა და მათი პროფესიული დაოსტატების საქმის სათანადო გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებლები ემსახურებიან. ჩვენ გთავაზობთ სწავლას ერთ-ერთ პრესტიჟულ და მაღალი რეიტინგის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ემსახურება შრომის ბაზრისთვის კონკრეტულ სპეციალურ კადრების მომზადებას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
გთავაზობთ სწავლას შემდეგ ფაკულტეტებზე:

- ◆ ბიზნესის (115-01) მისაღები კონტინგენტი – 180;  
სპეციალობა – ბიზნესის ადმინისტრირება: ფინანსები და საბანკო საქმე, აღრიცხვა და აუდიტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტურიზმის მენეჯმენტი, ჯანდაცვის მენეჯმენტი.
- ◆ იურიდიული (115-02) მისაღები კონტინგენტი – 80;  
სპეციალობა – სამართალმცოდნეობა.
- ◆ სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (115-03) მისაღები კონტინგენტი – 100;  
სპეციალობები – საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, რელიგიათმცოდნეობა, კავკასიოლოგია.
- ◆ მედიცინის (115-04) მისაღები კონტინგენტი – 100;  
სპეციალობები – სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია, ფარმაცია.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს:

- კომფორტულ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სასწავლო გარემოს;
- კომპიუტერულ კლასს;
- მდიდარ ბიბლიოთეკას – წიგნადი და ელექტრონული ფონდით;
- გაცვლით საბაკალავრო პროგრამებს;
- სწავლების მაღალ ხარისხს;
- ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო ბაზართან შედარებით დაბალ ფასებს;
- განათლების მიღებას სწავლების სამივე საფეხურზე – ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.



უნივერსიტეტი აკრედიტებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.  
ლიცენზია № 01-17-08/723, აკრედიტაცია № 42/ს 19.11.2007

მისამართი: თბილისი, ჩარგლის ქ. № 73, V-VI სართული, ტელ: 105203; 308641.  
ელფოსტა: ciu@ciu.edu.ge; ვებგვერდი: www.ciu.edu.ge

ისწავლა წარჩინებით და მოიპოვა სტიპენდია!  
ჩვენ ვქმნით თქვენს წარმატებას!

ღია კარის დღე გაიმართება 13 მარტს, 13:00 საათზე



აირჩიეთ. სად ისწავლით

### აბიტურიენტთა საყურადღებოდ!



## სასწავლავლად გინვებით სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი – თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტი. (034)

ჩვენი პრიორიტეტებია: სწავლება და დასაძმება ერთად. სტაჟირება მისაღი კურსიდან; სტიპენდიები წარჩინებულთათვის; მცირე ზიზნისასხები კურსდამთავრებულთათვის; სწავლის საფასურის გადასახდელად ბანკის კრედიტის მიღება.

სწავლის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საფასური და ყველაზე დიდი პელაპათები: აბიტურიენტს, რომელიც პირველ ნომრად აირჩავს ჩვენს სასწავლებელს, სწავლის საფასური შეუმცირდება 15 %-ით, მისაღი ნომრად არჩევის შემთხვევაში – შემცირება შეადგინს 12 %-ს, მისაღი ნომრად არჩევის შემთხვევაში კი – 10%-ს. საბარტველს ტარიტორიული მთლიანოზისათვის დალუპულთა ოჯახის წევრებს სწავლის საფასური შეუმცირდება 20%-ით, ანუ 500 ლარით.

მიღებას ვაცხადებთ შემდეგ ფაკულტეტებზე:

**ბიზნისისა და მართვის (03401)**  
მისაღები კონტინგენტი – 105  
სპეციალობები: საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (03402)**  
მისაღები კონტინგენტი – 20  
სპეციალიზაცია: ფილოლოგია  
ქვესპეციალიზაცია: ინგლისური ენა და ლიტერატურა.

**სამართლის (03403)**  
მისაღები კონტინგენტი – 35  
სპეციალობა: სამართალმცოდნეობა.  
**ღია კარის დღე 12 მარტს, 14 საათზე**



მისამართი: თბილისი, აბლასის 37, III სართული (დიღუბე – სავაჭრო ცენტრ „მეპალაინთა“) ტელეფონი: 96-36-41. [www.bankfininst.edu.ge](http://www.bankfininst.edu.ge)

## სასწავლავლად ვინვებით ახალგაზრდა მუსიკოსებს!

სსიპ – ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი, რომელიც წარმატებით აგრძელებს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალის ტრადიციას, კვლავ ინვესტს აბიტურიენტებს უმაღლესი სამუსიკო განათლების მისაღებად.

2010-2011 სასწავლო წლისთვის კოლეჯში მიღება განხორციელდება **საბაკალავრო (ფორტეპიანო, საორკესტრო საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, გუნდის დირიჟორობა) და უმაღლეს პროფესიულ (ფორტეპიანო და საორკესტრო საკრავები, ვოკალური ხელოვნება, საგუნდო დირიჟორობა) საგანმანათლებლო პროგრამებზე**. მისაღები კონტინგენტი განისაზღვრა 50 ერთეულით (25 ადგილი – აკადემიურ-საბაკალავრო და 25 ადგილი – უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე).

საგანმანათლებლო პროგრამების სრული კურსის ათვისების საფუძველზე, სათანადო კრედიტების დაგროვების შედეგად, კურსდამთავრებული მიიღებს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს შესაბამისი კვალიფიკაციის აღნიშვნით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ“ დებულების საფუძველზე, ერთიანი ეროვნულ გამოცდებამდე აბიტურიენტები გადიან შესაბამის კონკურსს კოლეჯის მიერ დადგენილი წესით. კონკურსი ჩატარდება შემოქმედებითი ტურების სახით. კერძოდ, გათვალისწინებულია ორი ტური: I ტური – სპეციალობა, II ტური – მუსიკის თეორია. შემოქმედებითი ტურებში მიღებული გამსვლელი ქულების შემდეგ, აბიტურიენტები გადიან ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე.

აკადემიურ (საბაკალავრო) საგანმანათლებლო პროგრამებზე შემომსვლელნი აბარებენ სამ სავალდებულო გამოცდას: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა და ზოგადი უნარები, ხოლო უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შემომსვლელნი – ერთ გამოცდას ზოგად უნარებში. სახელმწიფო გრანტის მოპოვების მსურველ აბიტურიენტს უფლება აქვს, აირჩიოს მისთვის სასურველი ნებისმიერი დამატებითი საგამოცდო საგანი.



აბიტურიენტთა ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ შემოქმედებითი ტურების შედეგების მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, ერთიანი ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების გათვალისწინებულად.

იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების რესურსცენტრში გაკეთებულ განაცხადში მიუთითებს სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამას, შემოქმედებითი ტურები უნდა გაიაროს მის მიერ მითითებულ ყველა სასწავლებელში აღნიშნული პროგრამების შესაბამისად.

რესურსცენტრში რეგისტრაციის გავლისა და პლასტიკური ბარათის მიღების შემდეგ, აბიტურიენტებს საბუთები დამატებით შემოაქვთ სსიპ – ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიმღებ კომისიაში.

**საბუთების მიღება იწარმოება 2010 წლის 25 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით. შემოქმედებითი ტურები ჩატარდება 10 ივნისიდან.**

ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში სწავლის მსურველთა აღზრდას მოემსახურებიან გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც ჯერ კიდევ კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალში წარმატებული

მოღვაწეობის პერიოდში დააფრთხიან და დააკვალიანეს მრავალი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელი და პედაგოგი, რომელთა შორის არიან საქალაქო, რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების, დათვალიერებებისა თუ ფესტივალების ლაურეატები, დიპლომანტები და პრიზიორები. ბევრმა მათგანმა წარმატებით გააგრძელა სწავლა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, აკაკი წერეთლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტების მაგისტრატურაში, ხოლო უმრავლესობა მათი კურსდამთავრებულებისა საშემსრულებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან როგორც საქართველოს, ისე ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების სამუსიკო დაწესებულებებში და შემოქმედებით ორგანიზაციებში.

კოლეჯი, სასწავლო პროცესის გარდა, ეწევა აქტიურ საშემსრულებლო-შემოქმედებით საქმიანობას როგორც ქალაქში, ისე მის გარეთაც. მას აქვს საკონცერტო დარბაზები, სადაც სტუდენტები გადიან საშემსრულებლო პრაქტიკას; დასვენებისა და ფიზიკური განვითარებისათვის აქვთ სპორტული დარბაზი; სასწავლო აუდიტორიებთან ერთად კოლეჯს აქვს სასწავლო, მეთოდური, სამეცნიერო, სანოტო ლიტერატურითა და აუდიო-ვიდეო მასალებით, კომპიუტერებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზთან ერთად. შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილების სათანადო პირობები. კოლეჯი მზად არის აბიტურიენტთა მისაღებად და მათთვის მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზებისთვის.

**რუსუდან ლორთქიფანიძე**  
რექტორი

კოლეჯის მისამართი:  
4600, ქუთაისი, კ. გამსახურდიას ქ. №43ა  
ტელეფონები: (8 231) 7-09-11; 7-46-22;  
899 506 451; 899 158 905.

ელფოსტა: [admin@kutmuscollege.edu.ge](mailto:admin@kutmuscollege.edu.ge)  
[contact@kutmuscollege.edu.ge](mailto:contact@kutmuscollege.edu.ge)  
ვებგვერდი: [www.kutmuscollege.edu.ge](http://www.kutmuscollege.edu.ge)

**წარმატებას ვუსურვებთ ყველას, ვისაც აქვს სურვილი სსიპ – ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში უმაღლესი განათლების მიღებისა.**

# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი ტრადიციული და კონკურენტუნარიანი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ინტენსიურად ვცნობა და ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცეში უფრო სრულყოფილი ინტეგრაციის მიზნით. ყოველივე ეს მის კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს, მოიპოვონ საერთაშორისო სტიპენდიები და გაიმარჯვონ გაცვლით პროგრამებში.

ანსუ-ს ურთიერთობა აქვს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, კანადის, საფრანგეთის, ბელგიის, ეგვიპტის, არაბთა რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის, თურქეთისა და ლატვიის უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

უნივერსიტეტს აქვს მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საკუთარი გამოცემლობა, კომპიუტერებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზები, ინტერნეტლაბორატორიები. ჩამოყალიბებულია მრავალფეროვანი სპორტული ინფრასტრუქტურა.

## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (009) 2010-2011 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას ფაქულტეტებსა და სპეციალუბებსა:

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა და ლიტერატურა; გერმანული ენა და ლიტერატურა; ფრანგული ენა და ლიტერატურა; რუსული ენა და ლიტერატურა), აღმოსავლეთმცოდნეობა (არაბისტიკა; ირანისტიკა; თურქოლოგია); არქეოლოგია.

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო ურთიერთობები; ისტორია; ჟურნალისტიკა; ფილოსოფია; ბიზნესის მართვა (საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; მენეჯმენტი; მარკეტინგი; საბუღალტრო და საგადასახადო საქმე; ტურიზმი).

**ზუსტ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** მათემატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები; ფიზიკა; ბიოლოგია; ეკოლოგია; ქიმია; გეოგრაფია.

**ადავანტიური ფაკულტეტი:** დანყებითი განათლება.

**მედიცინის ფაკულტეტი:** სამკურნალო საქმე; სტომატოლოგია; ფარმაცია.

**საინჟინერო-ტექნიკური ფაკულტეტი:** ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ავტომობილების ექსპლუატაცია; სატრანსპორტო ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია და ეკოლოგიური უსაფრთხოება); გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; მანქანათმშენებლობა (მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ჩარხები და იარაღები; კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მანქანები და აპარატები; სამაცივრო ტექნიკა და კონდიციონერები); მეტალურგია; ელექტროენერგეტიკა; ელექტრონიკა (ბიოსამედიცინო ელექტრონიკა; კრინინალისტური ელექტრული ტექნიკა); ტელეკომუნიკაცია; მშენებლობა (სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; ნავთობ და გაზსადენების მშენებლობა); ხარისხის მართვა და საზომი ტექნიკა.



**საინჟინერო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი:** ქიმიური ტექნოლოგია (ქიმიურ-ფარმაცევტული და კოსმეტიკური პრეპარატების ტექნოლოგია; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; მერქნული მასალების ტექნოლოგია); მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია (ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ნაკეთობათა ტექნოლოგია; ტექსტილის ტექნოლოგია, მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა, ტექსტილისა და ქიმიური მასალების საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა); გამოყენებითი დიზაინი (ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დიზაინი; ტექსტილის დიზაინი); სასურსათო ტექნოლოგია (კვების პროდუქტების ტექნოლოგია, სასურსათო პროდუქციის საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა).

**საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი:** საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი;

პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

**საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი-00908:** საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; საუდიტო საქმე (ფაკულტეტი განთავსებულია ფოთში, 9 აპრილის ხეივანი, №11).

სასწავლო საფოსტო მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის 59  
ტელეფონი: (8321) 42173, ფაქსი: (8231) 43833  
ელექტრონული ფოსტა: [atsu@atsu.edu.ge](mailto:atsu@atsu.edu.ge)  
ვებ-გვერდი: [www.atu.edu.ge](http://www.atu.edu.ge)

### კონკურსი

## საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაცია აცხადებს კონკურსს „საცნობიერებელი თავისადრ“

თბილისელ მასწავლებელთა შორის საუკეთესო პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებთან, საუკეთესო თარგმანების ავტორთა გამოსავლენად, ასევე, მხატვარ პედაგოგთა წარმოსაჩენად.

### კონკურსის მიზანი

პროექტი მოწოდებულია თბილისელ შემოქმედ მასწავლებელთა მოტივაციის ასამაღლებლად, მათი ნიჭის საზოგადოებისთვის გასაცნობად.

### მონაწილეობა

შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ, თბილისის საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლებს, ასევე, სკოლამდელი დანესებულებების თანამშრომლებსა და პენსიონერ პედაგოგებს.

### კონკურსის ჩატარების ფორმა

კონკურსი ჩატარდება თბილისის მასშტაბით და 4 ეტაპს მოიცავს.  
**I ეტაპი** – შესარჩევი ტური. თითოეული მონაწილე მასწავლებელი წარმოადგენს სამ ნაშრომს თავისი შემოქმედებიდან (მიიღება ელექტრონული ვერსია).  
ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ოფისში (ბულაჩაურის ქ. 7, I სართული). ნაშრომს უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია: ავტორის სახელი, გვარი, სკოლის (დანესებულების) მისამართი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი. პენსიონერმა პედაგოგებმა უნდა წარმოადგინონ პირადი ან სახლის ტელეფონის ნომერი.

**II ეტაპი** – კომპეტენტური ჟიური (შემადგენლობაში შევლენ პოეტები, ლიტერატორები, მწერლები, მხატვრები) შემოსული მასალიდან საუკეთესო ნაწარმოებს შეარჩევს.

გამარჯვებული ნამუშევრების პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტთან არსებულ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყობა.

**III ეტაპი** – კონკურსში გამარჯვებულ ნაწარმოებთა მომზადება დასაბუქდად.

**IV ეტაპი** – ლიტერატურული აღმანახის პრეზენტაცია.

### გამარჯვებულთა გამოვლენა

მონაწილეთა ნამუშევრების შეფასებას უზრუნველყოფს კომპეტენტური ჟიური. ნახალისდება შემდეგი საპრიზო ადგილები:

- ა) საუკეთესო პროზაული ნაშრომი (I ადგილი)
- ბ) საუკეთესო ლირიკული ნაწარმოები (I, II, III ადგილი)
- გ) საუკეთესო თარგმანი (I, II, III ადგილი)
- დ) შემოქმედებითი ინდივიდუალობისთვის (I ადგილი)
- ე) საუკეთესო დიზაინი (I ადგილი)

### ვადავი

- 1) პედაგოგებმა ნაშრომები უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 25 მარტისა.
- 2) გამარჯვებულ ნაშრომთა პრეზენტაცია – 14 აპრილს.
- 3) ლიტერატურული აღმანახის პრეზენტაცია – 25 მაისს.

**დაზუსტება:** პროექტი მონაწილეობის მსურველები, მიმდინარე წლის 10 მარტიდან, დაუკავშირდნენ პროექტის კოორდინატორს – თამარ ბარისაშვილს ტელეფონზე: 14 29 80, 877 42 77 67 და დააფიქსირონ კონკურსში ჩართულობა.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში, დონორ ორგანიზაციასთან „სხივი XXI“ ერთად სკოლების კომპიუტერიზაციის ახალ პროექტს ახორციელებს.

კომპიუტერიზაციის ახალი პროექტი სკოლებისათვის ისეთი კომპიუტერული ტექნიკის გადაცემას ითვალისწინებს, რომლის მახასიათებლებიც სრულად მიესადაგება თანამედროვე მოთხოვნებს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე აკაკი სეფერთელაძე თბილისის 136-ე საჯარო სკოლას ეწვია და პროექტის ფარგლებში 13 კომპიუტერი გადასცა. მან ახალი კომპიუტერული პროგრამების უპირატესობებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა არ იძლევა იმის საშუალებას, ყველა სკოლას თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგნობრივი ლაბორატორიები ჰქონდეს. ახალი კომპიუტერული პროგრამები კი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, საგნობრივი ვირტუალური ლაბორატორიებით ისარგებლონ და სრულყოფილი დაკვირვებები და ცდები ჩაატარონ, ოპერატიულად მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია.

საქართველოს საჯარო სკოლებს, დონორი ორგანიზაციის „სხივი XXI“ დახმარებით, სულ 2,720 კომპიუტერს გადასცემენ. ორგანიზაციამ თავად უზრუნველყო კომპიუტერები-

სათვის ლიცენზირებული ოპერაციული სისტემის Windows შეძენა.

პროექტის განხორციელების შედეგად, საჯარო სკოლებში შეფარდება – მოსწავლე/კომპიუტერი – შემდეგნაირად გადანაწილდა და, საშუალოდ, 20 მოსწავლეზე შეადგენს 1 კომპიუტერს, კომპიუტერების საერთო რაოდენობა კი – 29,240 ერთეულს.

შეფარდება (მოსწავლე/კომპიუტერი)	სკოლების რაოდენობა
20/1	1541
21/1	242
22/1	134
23/1	134
24/1	68
25/1	178
25 და ზევით	52

კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის პარალელურად, გრძელდება სკოლების ინტერნეტით უზრუნველყოფა. 2010 წლის ბოლოს ინტერნეტით, მინიმუმ, 1428 საჯარო სკოლა და საგანმანათლებლო რესურსცენტრი იქნება უზრუნველყოფილი. შედეგად, ინტერნეტით სარგებლობა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 75%-ს შეეძლება. 2011 წლის გაზაფხულზე კი ყველა საჯარო სკოლასა და საგანმანათლებლო რესურსცენტრს მაღალი ხარისხის ინტერნეტი ექნება.



# ბრიტოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

## მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სკოლა გინვით

ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციისას უპირატესობა ახალი გელათის აკადემიას მიანიჭოთ - მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სკოლას ბრიტოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

### დარებისტრირებისას პირველ ადგილზე ჩანართი 03309

რატომ? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გინდა იცხოვრო - თუ გსურს ცხოვრება სხვისი განკარგულებაში შესრულებაში გაატარო, ანუ მზამზარაქული განკარგულებაში მიხედვით იმოქმედო - რა უნდა თქვა და რა უნდა იფიქრო, მაშინ ნუ აირჩევ ახალი გელათის აკადემიას, იმიტომ რომ ის მხოლოდ მათთვის არის განსაზღვრული, ვისაც ლიდერობა სურს, ვისაც უნდა დამოუკიდებლად იმსჯელოს და იბას მიაღწიოს, რაც სხვებს შეუძლებლად მიაჩნიათ.

თქვენთვის მნიშვნელოვანია თუ არა სწავლობდეთ უნივერსიტეტში, სადაც სრული პატივისცემით მოგეპყრობიან თქვენი ადამიანური ღირსებების გამო? გინდათ თუ არა იყოთ თავისუფალი, სიცოცხლით აღსავსე და აქტიური, როგორც პიროვნება და მოქალაქე? ხართ თუ არა მზად რაიმე განსხვავებულის შექმნისათვის როგორც საქართველოსთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის? ისახავთ თუ არა მიზნად რაღაც ექსტრაორდინარული მიღწევას?  
თუ თქვენი პასუხი ამ კითხვებზე დადებითია, მაშინ ახალი გელათი სწორედ თქვენი შესაფერისი სასწავლებელია.

მიაგებთ პატივს უცხოური უნივერსიტეტების გამორჩეულობას, მაგრამ საქართველოში დარჩენა და უმდიდრესი ქართული ინტელექტუალური ტრადიციით სარგებლობა გირჩევნიათ?  
თუ ეს ასეა, ახალი გელათის აკადემია სწორედ ის არის, რასაც თქვენ ეძებთ. ახალი გელათის აკადემია დიდი ქართული ინტელექტუალური და კულტურული ტრადიციის პატივისცემაზეა დამყარებული. ჩვენი მისიაა საქართველოსთვის ახალი რენესანსის წამოწყება, საქართველოს ინტელექტუალური სიდიადისა და მისი ეკონომიკის აღორძინება. ჩვენ გვსურს სტუდენტებმა საქართველოს ინტელექტუალური მიღწევებითა და ტრადიციებით სიამაყის შეგრძნებით მიიღონ განათლება. სახელი, რომელიც პროგრამისთვის შეირჩა „ახალი გელათის აკადემია“, ამ სიამაყის გამოხატვის დადასტურებაა. ძველ გელათის აკადემიას ლიბერალური განათლების კლასიკური სასწავლო პროგრამა ჰქონდა, ასე რომ ეს ამერიკული იმპორტის ერთ-ერთი ნაირსახეობა არ გეგონოთ. საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის კურსები ქართულ ენაზე ისწავლება. ასევე ქართულად ისწავლება, მართლმადიდებლური თეოლოგიის კურსი, რომელიც აკადემიიდან მოწვეულ მოძღვარს მიჰყავს.

ოცნებობთ საზღვარგარეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლაზე, მაგრამ ფიქრობთ, რომ შეიძლება არ მიგიღონ ან არ დაგაფინანსონ?  
თუ პასუხი დადებითია, მაშინ ეს მოწვევა თქვენც გეხებათ. ჩვენი სასწავლო პროგრამა ანაპოლისში (აშშ-ში) მდებარე St. John's College-ის პროგრამაზეა დაფუძნებული, რომელიც საზოგადოდად ამერიკის ლიბერალური განათლების ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტად მიიჩნევა. ასევე, St. John's College ახალი გელათის აკადემიის ოფიციალური პარტნიორია.

ალბათ, თქვენ ახლა ამბობთ: „ეს საინტერესოდ ჟღერს, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ სამსახურს თუ ვიშოვი?“ საქართველოში ბევრ საუკეთესო სტუდენტს ალბევას ეს საკითხი. მათ უყვართ შესანიშნავი ნიბნების კითხვა და აზროვნება, უყვართ ლამაზი და ინტელექტუალურად აღმაფრთოვანებელი საგნების შესწავლა, უნდათ ისწავლონ იმისთვის, რომ სრულყოფილად აღამიანებად ჩამოყალიბდნენ. მათ არ უნდათ ვინცო პროფესიული არჩევანის გაკეთება, მაგრამ ღელავენ, თუ ასე არ მოიქცევიან, სამსახურის ძებნისას, კონკურენციაში დამარცხდებიან, ასევე დაკარგავენ შანსს ეკონომიკური წარმატებისათვის.

### თუ თქვენ ახალი გელათის აკადემიას აირჩევთ, არ მოგიწევთ არჩევანის გაკეთება განათლებასა და ეკონომიკურ წარმატებას შორის

ახალი გელათის აკადემიაში ერთმანეთისგან არ განვსხვავებთ ლიბერალურ განათლებას და განათლებას მენეჯმენტის მიმართულებით. ახალი გელათის აკადემია ლიბერალურ განათლებას განიხილავს, როგორც სწავლებას მენეჯმენტში. ჩვენი სასწავლო პროგრამა მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი მოაზროვნეების ნაშრომების შესწავლაზეა დაფუძნებული. ეს ნაშრომები არ შეისწავლება წმინდა ჰუმანიტარული ან აკადემიური თვალთახედვით. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ლიბერალური განათლება არის განათლება მათთვის, ვისაც სურს იყოს თავისუფალი - სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის განათლება მათთვის, ვინც მომავალში გადაწყვეტილებების მიღებასა და მართვაზე იძინებინან პასუხისმგებელი. ეს პროგრამა ბათვილია არა ვინცო კვალიფიკაციის მისაღებად, არამედ მომავალი ლიდერებისა და მენეჯერების აღსაზრდელად. იმიტომ, „დიდი ნიბნების“ კითხვისას ჩვენ გამოდგებით გავამხვილებთ ყურადღებას იმ ლიდერული აზროვნების მატარებელზე, რომლებიც ამ ნიბნებში მოიპოვება.

#### პროგრამის მონახაზი

სწავლების ძირითადი ენა: ინგლისური (ქართული ლიტერატურა, ისტორია და მართლმადიდებლური თეოლოგია ქართულად ისწავლება).

პროგრამა ჩამოყალიბდა ანაპოლისში აშშ-ში მდებარე მაღალკვალიფიციური ამერიკული უნივერსიტეტის - St. John's College პარტნიორობით, რომელიც 1696 წელს არის დაფუძნებული.

მენეჯმენტის, ადმინისტრირებისა და ლიდერობის სწავლება დაფუძნებულია „ლიბერალური განათლების“ მეთოდოლოგიაზე, რომელიც საბაკალავრო სწავლების ძირითადი ფორმაა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პროგრამა ისეა შექმნილია, რომ სტუდენტებმა დამოუკიდებლად აზროვნება ისწავლონ, რადგან როდესაც მოულოდნელად მოუწევთ შეჭიბვა, ეფექტურად მოქმედება შეძლონ. რატომ? იმიტომ რომ ეს არის ის, რასაც ნამდვილი ლიდერები, მენეჯერები და ადმინისტრატორები აკეთებენ. ეს ის უნარ-ჩვევებია, რასაც ხელმძღვანელები თავიანთ საუკეთესო მუშაკებში ეძებენ.

ყველა სტუდენტი სწავლობს მენარმეობის საფუძვლებს და სხვა სტუდენტებთან პარტნიორობით იწყებს საკუთარ ბიზნესს.

ყველა სტუდენტი გაივლის პრაქტიკას სამუშაო გამოცდილების ასამაღლებლად.

#### სწავლების მეთოდი

ლექციების შეზღუდული რაოდენობა: სტუდენტები სწავლობენ დისკუსიაზე დაფუძნებულ, ინტერაქტიულ გარემოში.

ძირითადად, სტუდენტები იმ მოაზროვნეების ორიგინალ ტექსტებს კითხულობენ, რომლებმაც უშუალოდ დაუდეს სათავე იდეებს, რომლის შესწავლასაც ვაპირებთ. ჩვენ თავს ვარიდებთ ისეთი სახელმძღვანელოების გამოყენების პრაქტიკას, რომელშიც ორიგინალური იდეები მეორე პირის მიერაა გადამუშავებული.

წერითი სავარჯიშოების საშუალებით, სტუდენტები სწავლობენ კარგად წერას როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე - ყოველ სემესტრში თითოეულ საგანში, სულ მცირე, ერთი თემა იქნება დასამუშავებელი.

სტუდენტებს ასწავლიან კითხვების დასმას - ლექციის დაწყებამდე მათ ვვალვებით, მითითებული საკითხავი მასალის მიხედვით, წერილობით წარმოადგინონ კითხვები.

- #### სასწავლო საგნები
- დიდი ნიბნების სემინარი - 8 სემესტრი. სტუდენტები წაიკითხავენ და განიხილავენ არჩეულ მასალას ყველაზე მნიშვნელოვანი ნიბნებიდან, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ჩვენი ცივილიზაციის ფუნდამენტალური იდეები და საკითხები: დრამა, ფილოსოფია, მეცნიერება, მათემატიკა, პოლიტიკური აზროვნება, ისტორია და ა.შ. მარადიული პოეზიის ჩათვლით. ასევე შედის ქართული ლიტერატურის ძირითადი ქმნილებები, ეკონომიკისა და მენეჯმენტის კლასიკა;
  - ენის კურსი - 8 სემესტრი. სტუდენტები სწავლობენ ინგლისურს, კლასიკურ ბერძნულს და ქართულს. ეუფლებიან გამოცდილებას ამ ენების ფუნდამენტურ გამოყენებაში: წერა, ლაპარაკი, კითხვა, მოსმენა, განმარტება, კამათი და თარგმნა;
  - ეკონომიკა და ბიზნესი - 4 სემესტრი;
  - ლიდერობა და პროექტის მენეჯმენტი - 1 სემესტრი;
  - ორბანიზაციებისა და ორბანიზაციული ცვლილებების მართვა - 1 სემესტრი;
  - კომპიუტერული მენეჯმენტი - 1 სემესტრი;
  - მათემატიკა - 5 სემესტრი;
  - ლაბორატორიული მენეჯმენტი - 5 სემესტრი;
  - სამართალი, სწავლადი მართვა და პოლიტიკა - 1 სემესტრი;
  - თეოლოგია - 1 სემესტრი;
  - ისტორია და გეოგრაფია - 2 სემესტრი;
  - მუსიკალური ხელოვნება - 1 სემესტრი.





იუბილეა

წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია



ამ მრავალმხრივ განათლებულ, თავმდაბალ, აქტიური ცხოვრების პოზიციის ადამიანს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა.

ახალგაზრდებისათვის, რომელთათვის იგი, ამავე დროს, საუცხოო მასწავლებელი და აღმზრდელია. ლეონტიძის 80 წელი შეუსრულდა.

წაველებლად, მოგიანებთ კი - ბათუმის რაიონის სიფელ ჩაისუბნის სამუშაო სკოლაში.

ლეულად - ბათუმის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის პრორექტორად სასწავლო დარგში, სადაც იგი დღემდე მოღვაწეობს.

ეზულია მედლებით, დიპლომებით, საპატიო სიგელებით, განათლების ნარჩინებულს - სამკურნეო ნიშნით.

ბადრი მუხამბაია

ეკონომიკის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბათუმის მრავალდარგოვანი კოლეჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

სახელმძვანელოები

ერთი სახელმძვანელოს მისახება

მნიშვნელოვანია თავიდანვე განვსაზღვროთ დედაენის რობა, არამხოლოდ ადამიანის მეტყველების, არამედ აზროვნების ჩამოყალიბების პროცესშიც.

გურამ რამიშვილი წერდა: „დედაენა, როგორც ადამიანის არსებობის წინაპირობა, მოცემულია და ვერაინ მოახერხებს მას თავი დააღწიოს... დედაენის ვითარება განსაზღვრავს ამ ენის ხმარება-გამოყენებას არა მხოლოდ კონკრეტული მეტყველების პროცესში, არამედ აზროვნებისა და აქტის პროცესში, ასევე ცქვილის ფორმებშიც.“

ნებისაო“ - უთქვამს იაკობ გოგებაშვილს. ეს თეორია ჰარმონიაში მოვიდა თანამედროვე განათლების რეფორმისათვის, რომელიც სწორედ ასე აღიქვამს მშობლიური ენის სწავლებას.

რად მიგნებული ფრაზა, ფაქტობრივად, კოდა, გასაღები, რომელიც ყველა მოზარდის ცნობიერებას იბლიანდა ადებს მდიდარი ენის მისაღებად.

სიტყვა, სიმღერა და ლექსი მის სულს არ გაახალისებს. როგორც ვიცით, ყველა გამომცემელი (ვდილობს პრიორიტეტულ განათლებას აუწყოს ფენი, მაგრამ ვის როგორ გამოსდის, ეს სხვა საქმეა.)

დავივიწყოთ ძველი - გენიალური. სჯობს წინაპრების სიბრძნე გავიხსენოთ: „თურაშაულის პატრონი ტყვენი ეძებდა პანტასო“. ძველი ანდაზა მოვიგონოთ, რომ ჩვენც იგივე შეცდომა არ დავეშვათ. ამის საფუძველს კი წინო გორდელაძის „დედა ენა“ მოგვცემს, რადგან ის იაკობ გოგებაშვილის ცნობიერებითაა ნასაზრდოები. თუ ღვიძლი ანდაზები, ზღაპრები, მოთხრობები გონებას არ ხვდება, არ უფარჯიშებს, ფრთებს არ უსხამს, ეს წარმატების გზაზე გადაელობება ახალგაზრდა თაობას.

მაია ლორთქიფანიძე, ნინო იმანიშვილი

თბილისის 21-ე საჯარო სკოლა

კვალი ნათელი

სიკეთისა და სიყვარულის მასწავლებელი

თინათინ ელვაძეძე

რასაც ახლა ვიამბობთ, მსგავსი რამ კაცმა თავად უნდა ნახოს და განიცადოს, რადგან სხვისი მონათხრობი უღიმილად და უფერულად იქნება სინამდვილესთან შედარებით. მაინც შევეცადები გავხსენო მსახიობის „პაპლეტი“, როცა რუსთაველის თეატრმა პირველად აღადგინა მრავალი ათეული წლით მივიწყებული ტრადიცია.

შით), გიქო (გ. სუნდუქიანის „პეპო“), ნეზანაოვი (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ჩინჩახოვი (კ. ბუაჩიძის „უბოში ავი ძალღია“), ჰამლეტი, ედგარი (მექსპირის „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“), ფრანც მოორი (მლიერის „ყაჩაღები“), ერეკლე (სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“), სოსია მენისქვილე (ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვირვი) და სხვ.

რესო მოვლენა: „ჰამლეტის“ მე-100 წარმოდგენა, რომელიც ერთიანეთს ენაცვლებოდა ორი სხვადასხვა ინტერპრეტაციით განხორციელებული გიმრი, ორი განსხვავებული ხასიათის მსახიობი, რომლებიც სექსტაკლის დამთავრების შემდეგ გულწრფელად ულოცავდნენ ერთმანეთს და ხელდახმავდნენ მადლობას უზღვიდნენ აღტაცებულ მაყურებულს.

ლის ვაჟი გახლდათ. ბატონი გიორგი თეატრით გატაცებული პოეტი და როგორც მისი ერთი თანამედროვე ბრძანებს - ძველ თბილისს შევნოდა ბატონი გიორგის არტისტული პოეზია. ნოდარსაც გამოჰყვა ღრმა სიყვარული ძველი თბილისის პოეზიისა.

უთქვამს და გამოქცეულია. როგორც ქარიშხალი, ისე შემოიჭრა დარბაზში, თან ყვიროდა: - შე უსინდისო, შე ყოვლად უსინდისო დევენერატკა, უპატრონო გგონია თავი? სხვისგან უნდა ვიგებდე ამ ამბავს? ჩემ მიერ „მხატვრულად გაფორმებული“ სცენა მიანგრ-მოანგერია, სასწრაფოდ გამოიძახა რეჟისორი, სამართლებელი, ხმის რეჟისორი და მცირე ხანში სულ სხვაგვარი ელფერი შექმნილა იქაურობას.

1956 წლის 23 იანვარი. რუსთაველის თეატრის საექტო დარბაზში ტევა არ არის. ისეთი შთაბეჭდილებაა თითქოს კედლებიც კი სუნთქავენ და ლელავენ მსახიობის გამოჩენის მოლოდინში... და, აი, ისიც, ხალხი ფეხზე ადგომით და მხურვალე ოვაციით ხვდება ეროვნული თეატრალური საგანძურის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და დიდებულ პიროვნებას. ასეთი საყოველთაო აღიარება და სიყვარული მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და ბატონი ნოდარიც მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია.

გონივრულად მოფიქრებული ტექსტით ეს გმირები ესალმებოდნენ და სიყვარულს უშეზღუდვად მსახიობს, რომელიც ამ ორიგინალურად მომზადებულ სადამოქმ საოცარი უშუალობითა და გულწრფელობით უერთდებოდა აუდიტორიის აღტაცებას (ეს ყველაფერი ხომ მისთვისაც სიუბრიზი იყო).

ნოდარ ჩხეიძემ, როგორც იტყვიან, შემოქმედებითი აღმავლობის წლებში დატოვა თეატრი და ამ ნაბიჯის საიდუმლო ყველასათვის დღემდე უცნობი დარჩა, მაგრამ ახალგაზრდობის აღზრდის მისია არ მიუტოვებია, იგი სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა მამინდელი პიროვნება და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგ-რეჟისორად, წლები მანძილზე უძღვებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თეატრს.

მეხუთე კლასიდან სკოლის დამთავრებამდე მისი მონაფე გახლდა. მან არაერთი თაობის ახალგაზრდა აზიარა პირველად მხატვრული კითხვის ხელოვნებას, რამდენი ტკბილი და სიხარულით სავსე წუთები განგვიცდია მის მიერ მომადებული სადამოქმზე პიროვნება სასახლის სცენაზე, რამდენი სიტობი და სიყვარული გვახსოვს ამ ნათელი, სულით ლამაზი კაცისაგან, რომელიც ყველაზე ჩვენი დიდგვარად, რადგან იგი მართლაც ყველასი იყო, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა. ნოდარ ჩხეიძე გიორგი ქუჩიშვილის

უთქვამს და გამოქცეულია. როგორც ქარიშხალი, ისე შემოიჭრა დარბაზში, თან ყვიროდა: - შე უსინდისო, შე ყოვლად უსინდისო დევენერატკა, უპატრონო გგონია თავი? სხვისგან უნდა ვიგებდე ამ ამბავს? ჩემ მიერ „მხატვრულად გაფორმებული“ სცენა მიანგრ-მოანგერია, სასწრაფოდ გამოიძახა რეჟისორი, სამართლებელი, ხმის რეჟისორი და მცირე ხანში სულ სხვაგვარი ელფერი შექმნილა იქაურობას.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ქ. რუსთავის №10 საჯარო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილის მედლის მფლობელი

**ი. მ. მადარიშვილი**  
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.







კალაურის წმინდა გიორგის ეკლესია

ტურა“ ჰქვია). შეიძლება ეს ვერც ვერაფერს შეამჩნიოს, სადღაც მალლა გააკეთო, მოხსნა ხარაჩო და მორჩა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ამ კედელს სხვა რესტავრატორი მიუბრუნდება და მიხვდება, რომ წინამორბედმა უგულოდ, ზერელედ იმუშავა. ასეთი „ხალტურა“, სამწუხაროდ, დამხვედრია.

**ადრე, ალბათ, სათანადო მასალაც არ იყო?**

ამას მასალის უქონლობას ვერ დავაბრალებთ. ზემოთ კარლო ბაკურაძე რომ ვახსენებ, მას რა მასალაც ჰქონდა, მაქსიმალურად იყენებდა. უკეთესად იმის გამოყენება შეუძლებელი იყო. თან, ფაქტობრივად, ერთი ადამიანი მუშაობდა. მართლაც ტიტანური სამუშაო აქვს ჩატარებული. მართალია, დროთა განმავლობაში ბევრი რამ დაზიანდა, მაგალითად, ქიმების გამაგრება დაიფშვანა. შეიძლება ქვიშა, რომელსაც ხმარობდა, არ ვარგოდა, მაგრამ საიდან უნდა ვაეგო - არც ქიმიკოსი ჰყავდა და ვერც ლაბორატორიულ კვლევას ატარებდა. იმ პირობებში ამას ვერ დაადგენდა. გარკვეული პერიოდი ამან იმუშავა, გაძლო.

შეიძლება ჩვენი გაკეთებულიც რაღაც დროის შემდეგ დაიშალოს, მთავარია, გარკვეული პერიოდი შეინარჩუნოს სამუშაო ხანგრძლივობა, რეაქტივი კი არაფერი არ არის. ყველაფერს ერთად ვერ გააკეთებ, მთავარია, ის მასალა, რაც გაქვს და ის ცოდნა, რასაც ფლობ, მაქსიმალურად გამოიყენო და ძველს ყურადღება არ მოაკლო. ახალგაზრდებს სულ ამას ვასწავლი - როგორც კი დაგვლდება ხელი და თვალი, უნდა დაისვენო იმიტომ, რომ მერე საქმე გაფუჭებისკენ მიდის. კედლის მხატვრობა კი ისეთი ფაქიზია, სულ პატარა ნაჭერიც თუ ჩამოვიგარდა, ვეღარ იპოვი - იფშვება და ვეღარ აკრიფავ. ასეთი შემთხვევები არის ხოლმე, ზოგჯერ ხერხდება ნაწილობრივი აღდგენა, ზოგჯერ - არა. ასეთი შეცდომა მინიმუმამდე რომ დაიყვანო, წინასწარ უნდა იყო მომზადებული იმისთვის, რომ დაზიანებული ადგილი შეიძლება ჩამოვიგარდეს და ბედს არ მიენდო - ისეთი მოძრაობა არ გააკეთო ან ისეთი ოპერაცია არ ჩაატარო, რომ ჩამოიფშვანას. გასამაგრებლად საჭირო არც ერთი პროცედურა არ უნდა გამოტოვო იმიტომ, რომ დაგეზარა. კედელს მოცილებული ბათქაში ძალიან ფაქიზია - ადვილად ზიანდება, ზოგი ისეთი თხელია, სიფრიფანა, 2-3 მილიმეტრი. ამ დროს კარგია, მხატვრობას იცნობდე - ან თვითონ უნდა იყო ნამუშევარი, ან შესწავლილი და დათვალაირებული გქონდეს. მით უმეტეს, განმეზღვის დროს, თუ ნახატი არ იცი, ძნელია გარჩევა - ფრესკა სხვადასხვა ფერითაა ნახატი, ზოგიერთი ნაკლებ გამძლეა, ზოგიერთი - მეტად. თუ ნახატს არ მიყვები და გააზრებული არ გაქვს, რას წმენდ, შეიძლება, მაგალითად, კონტურები მოაცილო. ასეთი რამეც მომხდარა.

ძალიან დიდი დახმარება გავცი-



ნიეს იტალიელებმა, რომლებიც ცინცივის მუშაობისას ჩამოვიდნენ, ახალი მასალა და სარესტავრაციო მეთოდები ჩამოგვიტანეს, გაგვიჩინეს რეკომენდაციები. იქ ორი სეზონი ვიმუშავეთ 6-6 თვე. ისეთი რაღაცეები ჩამოგვიტანეს, რამაც 180 გრადუსით შეატრიალა რესტავრაცია. აი, მაგალითად, ფერს პრაქტიკულად ვერ ვამაგრებდით. შეიძლება ითქვას, რომ 2000 წლამდე გამაგრებულ ფრესკებში, პრაქტიკულად ფერის ფენას ვერ ვამაგრებდით ან ისეთი მეთოდით ვამაგრებდით, რომელიც უფექტურ შედეგს არ იძლეოდა. ფერი ხშირად იტყვივდა, ეხვევა, მტვრად იქცევა, ამიტომ უნდა გამაგრება. იტალიელებმა ფერის ფენის დამაგრების მარტივი ხერხი გვასწავლეს. ახლა ამ მეთოდს ფართოდ ვიყენებთ. ასევე, ფრესკის უკანა მხარის დამუშავება და ბევრი სხვა რამ. მათ სპეციალური ქარხნები აქვთ და ბევრ მასალას, რომელსაც აწარმოებენ კიდევ არ ვიცნობთ. ვცდილობთ, ეს ცოდნა შევიფსოთ. რესტავრატორი მუდმივად თვალს უნდა ადევნებდეს სიახლეებს. იტალიელების მუშაობის სპეციფიკა ოდნავ განსხვავდება ჩვენგან - სხვა სპეციფიკა აქვს ფრესკას და სხვა ტექნოლოგია აქვთ, მაგრამ მასალას ერთი და იმავეს ვხმარობთ. ამ მასალას მუშაობის პერიოდში იგონებენ და ხევენ. დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალა საკვებით საკმარისია იმისთვის, რა დონეზეც ვაკეთებთ კონსერვაციას. უფრო აქტიური ჩარევა, დღესდღეობით, საჭირო არ არის (მომავალში რა იქნება, არ ვიცი) - მექანიკურად ვწმენდთ. არის ფრესკები, რომლებიც შეიძლება ქიმიურად გაინჰინდოს, მაგალითად, იტალიელებმა ჩამოიტანეს ამონიუმის კარბონატი, რომლითაც ცინცივის კანდელი გავწმინდეთ და კარგადაც გაინჰინდა, მაგრამ ეს გვიანი მხატვრობა იყო, რომელიც იტანს ქიმიურ დამუშავებას. როგორც კი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მხატვრობაზე გადახვალ, იგივე ამონიუმის კარბონატი მთლიანად სპობს ფრესკას, რადგან განსხვავებული ტექნოლოგიაა, გრუნტს უჭამს და აქრობს. ეს ჩემი გამოცდილებით ვიცი. როგორც გითხარით, გარკვეული შედეგის მიღწევა მექანიკურადაც შეიძლება, უბრალოდ ცოტა საფრთხილოა - უნდა იცოდე, რას მიეკარო და რას არა. წინასწარი საკონსერვაციო ტესტირება აუცილებელია, თუმცა,



მუშაობის პროცესშიც ბევრი რამ ჩნდება. განსხვავებულია მუშაობა გვიანი დროის ფრესკებზე და ადრეულზე, განსხვავებული ტექნოლოგიაა საჭირო.

**უახლესი სამუშაო**

ახლა ცივა და სეზონი არ არის. სიცივეში მასალის ხმარება არ შეიძლება. ჩვენს ეკლესიებში, უმეტესწილად, სიცივეა, გათბობა არ არის, განსაკუთრებით დიდ ეკლესიებში. ამ მხრივ, გამოჩალიკის იყო აბასთუმანის ეკლესია - რომანოველების დროს აშენებულია და გათბობა აქვს. იქ ორი სეზონი ვიმუშავეთ ზამთარში, მაგრამ, ძირითადად, ეკლესიებში ცივა. სიცივეში ვერ ვმუშაობთ არა იმიტომ რომ ხელები გაგვეყინება, მასალა ისეთი - რეკომენდაციაში მითითებულია რამდენ გრადუსზე შეიძლება მისი გამოყენება. დარწმუნებული ვარ, რომ იტალიაში ან რომელიმე სხვა ქვეყანაში მთელი სეზონი მუშაობენ. ის პერიოდი, როცა რესტავრაციაზე არ ვმუშაობ, ძირითადად, ვხატავ და ამით არის ჩემთვის სასიამოვნო. რა თქმა უნდა, მატერია-



ლური თვალსაზრისით ნაკლებად სასიამოვნოა - თუ არ მუშაობ, შესაბამისად, არც ხელფასი გაქვს. წელიწადში შეიძლება 4 ან 6 თვე იმუშაო. მაგრამ მე მაინც მიხარია - მეტი დრო მრჩება ხატვისთვის.

გასაკეთებელი, ჯერ კიდევ, ძალიან ბევრია. ისეთი ეკლესიებია, რომლებსაც ხელი ჯერ არ შეხებია. მართალია, წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ძველების კონსერვაცია და ძველების უმრავლესობა, ძირითადად, ასე თუ ისე გაკეთდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ზიანდება და ახალი მეთოდებით განახლებას საჭიროებს. ასე რომ, სამუშაო ბევრია.

**როცა სამუშაო დასრულებულია...**

როცა დასრულდება, მერე იმის წარმოდგენაც კი ძნელია, „ახლა რომ ხარაჩოები იყოს დასადგმელი“. ძალიან სასიამოვნო გრძობაა, გასაოცარი სიმშვიდე გეუფლება და თითქოს ტყეები იმ გასული დღეებით. განსაკუთრებით, როცა ახალგაზრდები ფრესკებია.

ესაუბრა ლალი თვალაპივილი



„ალილი“

# „ძია შიო 144 წლისა“

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში (დირექტორი – მარო ჩხიტიანი) განხორციელდა პროექტი – „ძია შიო 144 წლისა“. მისი ავტორია III კლასის ხელმძღვანელი ინგა კაჭკაჭაშვილი, რომელიც მრავალი საინტერესო ღონისძიებისა და კვირეულის ავტორია. პროექტი მიეძღვნა გამოჩენილი საბავშვო პოეტის, შიო ილარიონის ძე ქუჩუკაშვილის დაბადების დღეს. ღონისძიებაზე მონაწილე იყვნენ სკოლის მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები.

პროექტის მიზანი იყო ბავშვებში შიო მღვიმელისადმი სიყვარულის გაღვივება, მისი ცხოვრების ეპიზოდების გაცნობა, მხატვრული კითხვის უნარის განვითარება და მსახიობური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

ქალბატონმა ინგამ აღნიშნა: „ამ ღონისძიებით გვინდა იმ ზღაპრულ სამყაროში დაგაბრუნოთ, რომელსაც ბავშვობა ჰქვია. შიო მღვიმელის სახელი თავისთავად ასოცირდება ბავშვობასთან, სკოლასთან. უფროსები – „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ ის ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები, რომელიც ღრმა კვალს ტოვებს ადამიანის ცხოვრებაში და მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვება. ჩემო პატარებო, თქვენ საშუალება მოგეცემათ, უფრო კარგად გაეცნოთ ძია შიოს შემოქმედებას.“

ღონისძიება ოსტატურად მიმყავდათ აჩიკო მსხვილიძეს და ანა აფრიაშაშვილს. მათ მიმოიხილეს ძია შიოს ცხოვრება-მოღვაწეობა და აღნიშნეს, რომ ადამიანის სიცოცხლის ყველაობა ბავშვობისა და ყრმობის წლებია. პოეტი, რომელიც



ამ ყველაობას შეჰხარის და გულითადი ლექსებით უმღერის, ბავშვების წლებივით დაუფიქსარია და საყვარელი.

შიო მღვიმელს საბავშვო პოეზიაში წინაპარი არ ჰყოლია. მისი პოეზია ერთი დიდი მდინარეა, რომელსაც ორი მთავარი შენაკადი აქვს, ბავშვი და ბუნება – სხვა შენაკადები მაცოცხლებელ ძალას ამ ორი მთავარი შენაკადიდან იღებენ და შემდეგ მათთან ერთად მიედინებიან ცხოველმყოფელ ნაკადულად იმ ყველაღონებში, მდებარეობაში, ხე-ხუხუბებში, რომლებსაც შიო მღვიმელის პოეზიის სამყარო მოიცავს.

პატარები დიდი სიყვარულით კითხულობდნენ ძია შიოს ლექსებს, პიესებს. მათ გააცოცხლეს მისი „ცელქები“, „ნაბია და ნკიპა“, „კონო და კუნო“, „მერცხალი“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და სხვ. ღონისძიებას

უფრო მეტ ხიბლს მატებდა მუსიკალური გაფორმება (პედაგოგი – მარია რეხვიაშვილი). ბავშვებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს მსმენელს „მანია მერცხალი“, „ვნატრობდი და აგვისრულდა“, „ყაყაჩო“, „ია“, „შემოდგომა გაგვეპარა“ და სხვ.

ღონისძიება მოხდენილი სიტყვებით დაასრულეს: „თაობები თაობებს ცვლის, ძია შიო კი, როგორც კეთილი თოვლის პაპა, განუშორებელი ღიმილით დააბიჯებს ჩვენს ოჯახებში და ხონჩა სავსე აქვს ნუგბარი ლექსებით.“ ჩვენ კი, ღონისძიების სტუმრები, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ შიო მღვიმელმა ნათელი კვალი დატოვა საბავშვო მწერლობაში.

ნარბიზ კაჭკაჭაშვილი დირექტორის მოადგილე ამღზრდელით დარგში



## სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობისთვის

თბილისის 94-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა სათემო ღონისძიება მშობელთა, მოსწავლეთა და ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება „სათნოების“ აღსაზრდელების მონაწილეობით. „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა ღონისძიება „საქართველო ბეჭედი ბავშვად და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში“.

სათემო საქმიანობებზე წარმოდგენილ მოსწავლეთა ინიციატივით, გამოცხადებული კონკურსის შედეგად, 94-ე საჯარო სკოლა თავის პარტნიორ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება „სათნოებასთან“ ერთად

800 ლარით დაფინანსდა, თანხა სპორტული ღონისძიების ჩატარებას მოხმარდა. სკოლის სტუმრები იყვნენ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **ლელა ცქიტიანი**, ასისტენტი **გოგიტა ვარდოსანიძე**, ისან-სამგორის რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ნესტან ზუხუბია**.

სკოლის ჰოლს ამშვენებდა სტენდი სათაურით „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამა“, რომელზეც აღბეჭდილი იყო 94-ე საჯარო სკოლისა და ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება „სათნოების“ აღსაზრდელების

პროგრამაში ჩართულობის ამსახველი ფოტოები. გამოიფინა თემის წარმომადგენელთა, მშობელთა, ყოფილ მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ შესრულებული ხელნაკეთი ნამუშევრები. მონაწილე სტუმრები „მხიარული სტარტებით“ (III კლასი – **ლელა გეთიაშვილი**) გახალისდნენ; ინტეგრირებული გუნდები (III კლასისა და ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება „სათნოების“ აღსაზრდელები) „შევარდენი“ და „მართვე“ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. განსაკუთრებით საინტერესო და მხიარული იყო შეჯიბრების მეორე ნაწილი მშობლებისა და ბებიების მონაწილეობით. ისინი ერთმანეთს

თოკის გადაზიდვასა და ბურთის ტყორცნაში ეპაექრებოდნენ. შეჯიბრების ბოლოს, 94-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **მარინა ჩაგანავამ**, მოპოვებული დაფინანსების ფარგლებში შეძენილი ნივთები (საკითხავნი ყმანილთათვის, „ციცინათელა“ – 18 ტომი) გადასცა ორივე მონაწილე გუნდს, ხოლო შეჯიბრებაში ჩართული ყველა მონაწილე ერთდღიანი უფასო ექსკურსიით დაჯილდოვდა.

„მხიარულ სტარტებს“ მოჰყვა ლტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია: „საქართველო ბეჭედი ბავშვად და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში“. სცენაზე ერთმანეთს

ენაცვლებოდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. დღე მართლაც უჩვეულო იყო. კონცერტის ბოლოს, ქალბატონმა ლელა ცქიტიანიმ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერტიფიკატით დააჯილდოვა სათემო აქტივობებში ჩართული 16 მოხალისე, ხოლო სკოლის დირექტორმა – „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამაში“ ჩართული აქტიური თემის წარმომადგენლები, მოსწავლეები და მშობლები.

ირმა ჯანიასვილი 94-ე საჯარო სკოლის კოორდინატორი, ქიმიის პედაგოგი



## ღია ტურნირი მკლავჭიდში

115-ე სკოლაში ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას. მითუმეტეს ახლა, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, განათლების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, განისაზღვრა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩანაცვლება სპორტის გაკვეთილებით.

სკოლის ინიციატივით, სხვადასხვა დროს მოეწყო არაერთი სარაიონო სპორტული შეჯიბრება კალათბურთში, ფეხბურთსა და გოგონათა შორის ფრენბურთში.

ახლახან კიდევ ერთ სასარგებლო და საინტერესო ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი: სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის (რომელსაც ხელმძღვანელობს უნევენ: დირექტორის მოადგილე აღმზრდელით დარგში **მაკა ორაგველიძე** და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი **მაია არსენაძე**) ინიციატივით, მოეწყო მორიგი ღია სარაიონო ტურნირი სპორტის ერთ-ერთ პოპულარულ სახეობაში – მკლავჭიდში.

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს 115-ე (დირექტორი – **ზვიად ქადარია**), 59-ე (დირექტორი – **თემურ კვცაძე**), 71-ე (დირექტორი – **რამაზ სუბატაშვილი**), 118-ე (დირექტორი – **ნოდარ შერაზადაშვილი**), 167-ე (დირექტორი – **ზაზა კვინიტაძე**), სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ (დირექტორი – **ნაზი ნადირაძე**) სკოლების წარმომადგენლებმა.

მკლავჭიდლები ორ წონით კატეგორიაში გადანაწილდნენ: **მსუბუქი წონა** – 65 კგ-ს ქვემოთ და **მძიმე წონა** – 65 კგ-ს ზემოთ.

ტურნირის ორგანიზებულად ჩატარებისთვის იზრუნეს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა: **შალვა ცომაია**, **გია ბეგიაშვილი**

**მა, გულიკო ლორია**, **ნანა ოჩიქიძე**, **რომან სომხიშვილი**.

ასპარეზობა მართლაც რომ სანახაობრივი გამოვიდა (ამსახველი კადრები შეგიძლიათ იხილოთ სკოლის ვებგვერდზე: [www.Tbilisi115.k12.ge](http://www.Tbilisi115.k12.ge)).

საპრიზო ადგილები გადანაწილდა:

**მსუბუქი წონაში** – მარცხენასა და მარჯვენა მკლავში I ადგილი დაიკავა **ნიკა კლდიაშვილი** (115-ე სკოლა); II ადგილი – **ნიკა მაჩაიძე** (115-ე სკოლა); III ადგილი – **ლორენცო ქობალიამ** (115-ე სკოლა); **მძიმე წონაში** – მარცხენა მკლავში I ადგილი დაიკავა **გუგა გოგიძე** (115-ე სკოლა); II ადგილი – **ვახტანგ ბერიძე** (სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“), III ადგილი – **ირაკლი ქანდარიამ** (118-ე სკოლა); მარჯვენა მკლავში შეტიფებისას I ადგილი აიღო **ვახტანგ ბერიძე** (სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“), II ადგილი – **ბაჩი ტრაპაიძე** (115-ე სკოლა); III ადგილი – **გუგა გოგიძე** (115-ე სკოლა).

ღონისძიება ხალისიანად წარიმართა. აღსანიშნავია, რომ ასეთ შეჯიბრებებში წაგებული არ არსებობს, რადგან მთავარი მისია – ჯანსაღი ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს შორის – წარმატებით სრულდება.

26 მაისისთვის სკოლას კვლავ აქვს დაგეგმილი ღია ტურნირის ჩატარება მკლავჭიდში, ახლა უკვე ქალაქის მასშტაბით, ვიმედოვნებთ, ჩვენს გამოწვევას ბევრი სკოლა გამოეხმაურება.

ლია კბილაშვილი დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში



### ბთავაზობთ თბილისის N154 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლის ანი გებეჭკორის ნამუშევრებს



## გამოფანა თბილისის მე-12 საჯარო სკოლაში

საოცარია ხელოვნების თვალსაწიერი, უსაზღვრო, თავისთავადი, „უთვალავი ფერით“ სავსე. ყოველი ხელოვანი ისე აღიქვამს სამყაროს, როგორც მის ფუნჯს, საჭრეთელს, კალამს ხელენიფება.

ქეთი ბურჯალიანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, შემდეგ მაგისტრატურა და ასეთი ცოდნით „შეიარაღებული“ ასწავლის მე-12 საჯარო სკოლაში. მისმა ნიჭმა, შემოქმედებითმა აქტივობამ მოსწავლეებზე დიდი გავლენა მოახდინა. ხელოვნების გაკვეთილები საინტერესო გახდა, თითოეული დავალება – სიზარულით შესასრულებელი, გაიზარდა ნორჩ შემოქმედთა თვალსაწიერი. ამ სიტყვების უტყუარი დადასტურება იყო გამოფენა, რომელიც 2 მარტს გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა ქეთი ბურჯალიანისა და მისი მოსწავლეების: ელენე იაკობიძის, ანა კომახიძის, გვანცა ჯამაგიძის, თამუნა კაველაშვილის, თამუნა სარაულის, თინათინ გვგნიძის, მარი მინდიაშვილის, ნინო სვარიძის, ლიკა კაპანაძის, სოფო სანიშვილის, ირინა ტოტოშვილის, მარი გრძელიშვილის, ლოლიტა კოვზაძის, ხატია ჯანაშვილის ნამუშევრები (XI-XII კლასი).



მართალია, საგამოფენო დარბაზი მხოლოდ ერთ საკლასო ოთახს იტევდა, მაგრამ „მოდარაჯე“ კაცის თვალი აშკარად შეიგრძნობდა ხელოვნების საოცარ ძალას.

სა და სურნელს. ერთი კედელი დეკორატიულ ფერწერას ეთმობოდა, მეორე – ხეცურულ ნაქარგებს, მესამე – თექას, გობელენს, ბატიკას... წარმოდგენილი იყო ხელით შესრულებული მარაოები, მძივები, აქსესუარები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ნიღბებმა და აბსტრაქტული ფორმის სანათებმა. გეომეტრიული ფორმებისა და ფერების შეზავება საინტერესო მხატვრულ ეფექტს ახდენდა. თითოეულ ნამუშევარში ხელოვანის ხედა იგრძნობოდა.

გამოფენა გახსნა მე-12 საჯარო სკოლის დირექტორმა მანანა გორგასლიძემ, რომელმაც შეუქო ხელოვანს ნამუშევრები და დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ სკოლის დირექცია კვლავაც შეუწყობს ხელს ნიჭიერი მასწავლებლებისა და მოსწავლეების წარმოჩინებას.

ექსპოზიცია დაათვალიერეს სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა. მე-12 სკოლისათვის გაზაფხულის პირველი დღე საინტერესო და შინაარსიანი გამოდგა. პედაგოგი ქეთი ბურჯალიანი და გამოფენის მონაწილე მოსწავლეები სკოლის დირექტორმა სიგელეებით დააჯილდოვა.

**დალი ჭიივილი**  
თბილისის მე-12 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტბათლაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.  
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru  
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096  
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

რედაქციის რეკვიზიტები:  
საპარტოველოს ბანკი  
ბ/კ 220101502,  
ს/კ 202058735,  
ა/ა 123631000